საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეღვი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№4 (6385) 10 იანვარი ხუთშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხინვალის ამბები

როგორც ცნობილია, მას შემდეგ, რაც ოსმა სეპარატისტებმა და ექსპერიმენტულმა ჯგუფებმა საგანგებო მდგომარეობის რაიონში ვითარების დესტაბილიზაცია სცადეს, რამდენჯერმე დაესხნენ თავს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების თანამშრომლებს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და სატაბელო იარაღი წაართვეს, 6 იანვარს ქალაქ ცხინვალში შეყვანილია ქართული მატარებელი ებითი ძალები—3000 კაცი.

დაიშრა შინაგან საქმეთა ორგანოების შვიდი მუშაკი, აქედან ორი ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა.

დაზუსტებული ცნობებით, არიან დაჭრილები მოქალაქეთა შორისაც. დაიღუპა ორი კაცი.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

ხალხის გულისთქმა

უკანასკნელი გაბრძოლება

მინდა გულახდილად გითხრათ, რომ დღემდე კიდევ შემრჩენოდა რაღაც რწმენა და იმედი ქვეყნის პრეზიდენტისა და ცენტრის მხარის დაჭერა ჩვენს მიწაზე ეთნოკრიზისების ასე გამწვავებისა, ცილისწამებად მიმაჩნდა. მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტის 7 იანვრის „საშობაო მოლოცვამ", სადაც კატეგორიული მოთხოვნაა ჩადებული სამხრეთ ოსეთიდან ჩვენი შინაგანი სამინისტროს ძალების გამოყვანის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილების უგულებელყოფის შესახებ, საბოლოოდ დამარწმუნა და საქვეყნოდ გამოააშკარავა ის, რომ არასამართლებრივ სახელმწიფოში ვცხოვრობთ. ცენტრი არ ითვალისწინებს არაფერს იმას, თუ რა გახდა საფუძველი ჩვენი უზენაესი საბჭოს მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისა. იგი ცალმხრივად, მხოლოდ ქართველი ერის ინტერესების საწინააღმდეგოდ ღებულობს გადაწყვეტილებას, რა შეიძლება დაერქვას ამას? მარტო სამართლის ნორმების უგულებელყოფა? არა, ეთიკური ნორმების დარღვევა და ჩვენი სუვერენიტეტის ჩახშობის გზაზე შეგნებულად გადადგმული ნაბიჯი.

რა უნდა ვიღონოთ? დავემორჩილოთ ცენტრის დიქტატს? საქმე ეხება ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას და უკან დახევის ყველა გზა მოჭრილია. ამჯერად დიდი განსაცდელის წინაშე ვართ და მუშტად შეკრული უნდა გვერდით დავუდგეთ საქართველოს უზენაეს /საბჭოს, მის თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას და რადაც არ უნდა დავიცვათ ჩვენი მიწა.

კ. ყურაშვილი,
სოფ. ოყურეში.

ალიკვეთოს ექსტრემისტთა თარეში სამაჩაბლოში

ქართული ტრადიციაა სტუმარს ძმასავით ვიღებთ, მოყვასის თანასწორად თანავუგრძნობთ, სიკეთეს არ ვიშურებთ და გვწამს სიკეთის წილ სიკეთეს გვარგუნებენ. ეს ჩვენ გვწამს, მაგრამ როგორც ე. წ. სამხრეთ ოსეთში შექმნილმა დღევანდელმა მდგომარეობამ დაგვანახა, სტუმრად მოსულთ სხვაგვარად სწამთ, მათ ჩვენს სტუმართმოყვარეობას ზურგი აჩვენეს, ქართული ეროვნულ მოძრაობის აღზევების უამს მტრად მოგვევლინენ და ქართული მიწა-წყლის ნაწილი, შიდა ქართლი—სამაჩაბლო, ოსების კუთვნილ მიწად გამოაცხადეს. ოს ექსტრემისტთა ამ თავხედურ განცხადებას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ სწორი გადაწყვეტილებით უპასუხა—გააუქმა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა მთელმა საქართველომ. რის შემდეგაც დადგა დრო სტუმარმა ისტუმროს, მასპინძელმა საკუთარ სახლში მასპინძლობა გასწიოს.

7 იანვარს, შობის დღეს კი საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის განკარგულებამ, რომელიც საქართველოს საშინაო პოლიტიკაში არაწორად ჩარევის ტენდენცია, მოითხოვა სამ დღეში შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალების გამოყვანა, რითაც საფრთხეში აგდებს როგორც ქართველი ისე ოსი მოსახლეობის სიმშვიდეს.

ჩვენ, ქართველ ერს, სურვილი გვაქვს მხარი დავუჭიროთ მათ, ვინც სამაჩაბლოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების, ოსების კუთვნილი უფლებების დასაცავად იღვწის ბრძნული გადაწყვეტილებებით თუ რეალური საქმით. ამ რთულ სიტუაციაში, ჩემი აზრით, არსებობს მხოლოდ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება—აღიკვეთოს ოს ექსტრემისტთა თარეში სამაჩაბლოში.

მამუკა მუშკუდიანი,
რაიონული სტამბის მუშა.

ავმაღლდეთ, გავძლიერდეთ

„ღმერთო ჩემო, რა მოგველის?" ახლა ხშირად გაიგონებთ ქუჩაში შეშფოთებული ადამიანების სასოწარკვეთილ ამოძახილს, გაფითრებული და დამწუხრებული სახეებია ირგვლივ. მართლა რა მოგველის?! ახლა, როცა დიდი ხნის ნაოცნებარის ახდენის კართან ვდგავართ, როცა იმედი და მომავლის რწმენა გაგვიმტკიცდა, ვიღაც უხეშად აფეთურებს ხელს ჩვენს ეროვნულ საქმეებში, სულ ახლა იყო აფეხზეთთან დაკავშირებული კონფლიქტები რომ მოგვარდა, ახლახან მოვიგერიეთ თურქი მესხების შემოტევა და უკვე ახალი წინააღმდეგობა... ეროვნული პარლამენტის მიერ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება საკავშირო მთავრობამ უკანონოდ სცნო და მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება. ამ დროს კი რა ხდება ოსეთში—დათარეშობენ შეიარაღებული ბანდები, რომლებიც იქაურ ქართველობას უკარგავენ სიმშვიდეს, წინააღმდეგობას უწევენ ეროვნულ მილიციას, არიან დაჭრილები და გარდაცვლილები, ამის გამო დაძაბული სიტუაციაა მთელ საქართველოში, აშკარა საშიშროების წინაშე ვდგავართ.

რა არის გამოსავალი ამ სიტუაციიდან? ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ გაიმართა საქართველოს უზენაესი საბჭოს საგანგებო სესია, რომელმაც გადაწყვიტა რა გზას დაადგეს ქართველობა, როგორი გამოსავალი აირჩიოს. მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ახლა როგორც არასდროს სჭირდება ქართველობას გონიერება და რაც მთავარია ერთ ხორც და ერთ სულ შეკავშირება, ახლა ჩვენთვის სწორედ ერთიანობაა ყველაზე მთავარი, რათა ერთობლივი ძალებით შევებრძოლოთ კრემლიდან მომდინარე უკანონობას. ჩვენს ეროვნულობას, სუვერენიტეტს ახლა დიდი საფრთხე ემუქრება, რომ ვთქვათ ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, სწორი არ იქნება, ასე რომ ყოფილიყო უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი გვექნებოდა, მაგრამ ერთიანობა და ერთსულოვნება გადამწყვეტია ჩვენი მომავლისათვის. თვით ოსი ხალხის მეტი წილი, რომელმაც იცის როგორც ჩვენი, ასევე საკუთარი ისტორიული ადგილი და მდგომარეობა, მხარს უჭერს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებას ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. უკვე კრემლს აღარა აქვს უფლება ოსი ხალხის სახელით ილაპარაკოს, რადგან შიმშილობა დაიწყეს ოსმა მოქალაქეებმა, რომლებიც პროტესტს უცხადებენ საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებას.

მაქვს დიდი იმედი, რომ ჩვენი პარლამენტი და ჩვენი ერი აირჩევს სწორ და გადამწყვეტ ნაბიჯს ამ აშკარა აგრესიის წინააღმდეგ. ეცდება საქართველოს ააცილოს ყოველგვარი უბედურება.

მ. გორგასლიძე,
ცაგერის საშუალო სკოლის დირექტორი.

რას გვპირდება ახალი წელი

მთავარი მომსახურების ფორმების ამაღლებაა

ცაგერის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს 1990 წლის გეგმა კოოპერატივების ჩათვლით 500 ათასი მანეთს შეადგენდა, ფაქტიურად კი წლის მანძილზე 451 ათასი მანეთის საქმე შესრულდა. აქედან მოსახლეობას მხოლოდ 112,4 ათასი მანეთის საყოფაცხოვრებო მომსახურება გაეწია, 338,6 ათასი მანეთი კი საყოფაცხოვრებო მომსახურებასთან შექმნილი კოოპერატივების მიერაა შემოტანილი. ასეა თუ ისე წლიური გეგმა შესრულდა 80 პროცენტით. სამმართველოს მიერ დაგეგმილი 18 სახეობიდან გეგმები შესრულდა მხოლოდ ისეთ სახეობებში, რომლებიც ძირითად და დამხმარე მასალებს არ საჭიროებს. ასეთებია, მაგალითად, ინვენტარის გაქირავება, ტანსაცმლის შეკეთება, საპარიკმახერო მომსახურება, ფოტომომსახურება, ფეხსაცმლის შეკეთება. მომსახურების ისეთი სახეობები, როგორიცაა ავეჯის დამზადება, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კერვა, საზეინკლოები, სადურგლო სახელოსნოები, რომლებიც მომსახურების სფეროს საარსებო წყაროს წარმოადგენს, წლის მანძილზე თითქმის გაჩერებული იყო იმის გამო, რომ 1990 წელს დაგეგმილი 15 ტონა რკინიდან 5 კუბური მეტრი ფანერიდან; 40 კუბური მეტრი დახერხილი მასალიდან, 70 ტონა ცემენტიდან, გარკვეული რაოდენობის ბამბის ქსოვილებიდან თუ სხვა ძირითადი მასალებიდან თითქმის 90 პროცენტიც კი არ მიგვიღია.

ჩვენი მუშაობის გაუმჯობესების რა პერსპექტივებს ვხედავთ მიმდინარე ახალი წლიდან? რესპუბლიკაში არსებული მომსახურების სამინისტროს ბაზაზე შეიქმნა კონცერნი სახელწოდებით „საქყოფსერვისი", 1991 წელი გარკვეულწილად რთული იქნება საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოსათვის, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ველოდებით კონცერნის მიერ განხორციელებულ სიახლეებს, ვფიქრობთ, მომარაგების მხრივ რაღაც სასიკეთოდ შეიცვლება, თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ძირითად და დამხმარე მასალების ფასები გაიზარდა.

საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობა-ნაგებობები და დანადგარები ამორტიზებულია და მათი აღდგენა გადაიარაღება ისევ უნდა მოხდეს ჩვენივე მოგების და შემოსავლების ხარჯზე.

1990 წლისთვის სამმართველოსთან არსებული კოოპერატივების ჩათვლით დაეიგეგმეთ 400 ათას მანეთზე. უნდა გულახდილად ითქვას, რომ ამ გეგმების შესრულება მეტად დაძაბული იქნება, ამას ისიც დაეშატა, რომ დროებით შეჩერდა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საპარიკმახეროების მუშაობა, რომლის წილი წლიურ საერთო შემოსავალში 15 ათასი მანეთია.

სამმართველოს ხელმძღვანელობა მიმდინარე წლისათვის მთელ ძალისხმევას ყველა დამხმარე და ძირითადი მასალების მაქსიმალურ შეძენას მოახმარს. გათვალისწინებულ იქნება რაიონის მოსახლეობის აზრი და მოთხოვნები არსებული მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით. ამასთან რესპუბლიკაში ახლად შექმნილი კონცერნი „საქყოფსერვისისაგან", რომელიც ჯერჯერობით დახვეწილი არაა, იმედის მომცემ სიახლეებს მოველით, ყოველ შემთხვევაში იგი მეტ დახმარებას გაუწევს რაიონების საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებს, ვიდრე არსებული სამინისტრო.

გ. მუშკუდიანი,
ცაგერის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი.

ძვირფასო მკითხველო!

ისტორიას ჩაბარდა 1990 წელი. ჩვენი ერის ცხოვრებაში გამორჩეული წელიწადი ეროვნული გრძნობების აღზევებით, ბრძოლით, ნერვების წყვეტით, დაძაბულობით განვლეთ იგი, მაგრამ ღირდა ამად—პირველმა მრავალპარტიულმა არჩევნებმა დაგვანახა ძალა დემოკრატიის, ნება ხალხის, გონება ქართველის. მრავალპარტიული უზენაესი საბჭო სათავეში ჩაუდგა ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნების ახდენისათვის ბრძოლას, საქართველოს სრული თავისუფლებისათვის ბრძოლას.

თავისთავად დაძაბული და რთული იყო გასული წელიწადი პრესისთვის. პრესა, როგორც არასდროს, უნდა იყოს საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი, ობიექტურად ასახავდეს მოვლენებს, მიმდინარე პოლიტიკურ-საზოგადოებრივ პროცესებს, მართალი სიტყვით გამოდიოდეს მკითხველის წინაშე და არამც და არამც არ ემსახურებოდეს რომელიმე ერთი პარტიის დიქტატს და პოზიციას.

არ დაგიმალავთ და შორს არაა ის წარსული, როცა საზოგადოდ, და რა თქმა უნდა, ჩვენი რაიონული გაზეთიც იყო პარტიის აზრისა და შეხედულებების გამტარებელი. ბეჭდითი სიტყვის თავისუფლებას მხოლოდ სიტყვით გავიძახოდით, მაგრამ საქმით სხვა იყო. იბეჭდებოდა თვალსაზრისები, პოზიციები, რომლებსაც არ ვიზიარებდით. ასე იყო, ძალა აღმართს ხნავდა. გაზეთის არა ერთი პუბლიკაცია განიცდიდა ზემოდან უსამართლო ცენზურას. იყო ჟურნალისტთა და რედაქციის კანონიერი პროფესიული საქმიანობის დაბრკოლების ფაქტები.

ეროვნული სულის გამოღვიძებამ, დემოკრატიამ, საჯაროობამ პრესასაც მოუმართა ხელი და გაზეთიც შეიცვალა მკითხველის სასარგებლოდ. თქვენის ნებით გაზეთს „ლეჩხუმი“ დაერქვა. იგი გახდა თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანო, რომელიც დღითიდღე ხვეწს მუშაობის სტილსა და მეთოდებს, ცდილობს რაიონის საზოგადოებრივ პოლიტიკური ცხოვრების არც ერთი მხარე არ დარჩეს ყურადღების გარეშე, პატივი სცეს ავტორს, მის თვალსაზრისს. აზრთა სხვადასხვაობით მკითველს მისცეს საშუალება თავად მიაგნოს ჭეშმარიტებას. განსაჯოს მოვლენა.

ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ არა ერთი მიზნობრივი, საქმიანი, საინტერესო რუბრიკა და ჟანრი დავნერგეთ გასულ წელს. რუბრიკის „მკითხველო დუმილის ჟამი გათავდა“ ქვეშ, ჩვენის აზრით, არა ერთი გაბედული პუბლიკაცია დავბეჭდეთ, შემოვიღეთ ლიტერატურული გვერდი „ცისფერი სარწყული“. ვფიქრობთ ჩვენზე ნაკლებ არც თქვენ ხედავთ ამ სიახლეებს. რა თქმა უნდა, გაზეთს აქვს წინგადადგმული ნაბიჯები, მაგრამ საქმე ისე არაა ზოგს რომ ჰგონია-სხვის თვალში ბეწვს ვამჩნევთ და საკუთარში დირეს ვერა—ძალიან კარგადაც ვამჩნევთ ჩვენი მუშაობის ნაკლს, ხარვეზებს, შეცდომებს.

ჩვენ შევეცდებით ეს ყველაფერი კარგად გავითვალისწინოთ. ამიტომ ახალი წლის მიჯნაზე სარედაქციო კოლექტივს ახალი სურვილები, ჩანაფიქრი და გეგმები გვაქვს გაზეთისა და თქვენს სასარგებლოდ, ძვირფასო მკითხველო. დღეს, ხაზგასმულია საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტში პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ, პრესის თავისუფლება თავისუფალი საზოგადოების საფუძველია. აქედან გამომდინარე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია, რაც რესპუბლიკის კონსტიტუციითაა გარანტირებული. ასე რომ, ჩვენ ურთიერთთანამშრომლობის საუკეთესო პირობები მოგველის.

მაგრამ რა გინდ პროფესიული ალღო და შემოქმედებითი ნიჭი არ გვქონდეს, რა გინდ პასუხისმგებლობა და მონდომება, თქვენი თანამშრომლობის, რჩევისა და წინადადებების გარეშე გაზეთი „ლეჩხუმი“ ვერა და ვერ იქნება მიზანმიმართული, მამობილიზებელი, საინტერესო, საქმიანი.

ამიტომ ახალი წლის ამ დღეებში ველით თქვენს კეთილ რჩევას, წინადადებებს, მოსაზრებებს. ჩვენ ბევრი ახალი თემა და ჟანრი გვაქვს ჩაფიქრებული. ასე, მაგალითად, „ეკონომიკა: თვალსაზრისი, პრობლემები“, „ადამიანი და კანონი“, „ადამიანი და გარემო“, „საქართველოს ისტორია—გმირები და მოვლენები“, „მოამაგენი“, „აქტუალური ინტერვიუ“, „ქვეყნები და კონტინენტები“ და ა. შ. მაგრამ თქვენი შემოთავაზებული რუბრიკა, თემა გაცილებით უფრო მისაღები და მისასალმებელი იქნება ჩვენთვის. რა მოწწონთ, რა არ მოგწონთ, რა კრიტიკული შენიშვნები გაქვთ, მოგვწერეთ გულახდილად, მოურიდებლად.

რაიონული გაზეთი, გვჯერა მშობლიური და ახლობელია თქვენთვის. ისიც გვჯერა, რომ სურვილი გაქვთ კიდევ უკეთესი იყოს, რაიონის მშრომელთა სიხარულისა თუ საწუხარის ნამდვილი გამომხატველი.

მაშ ასე, ველით თქვენს შენიშვნებს, თანადგომას, თანამშრომლობას.

წინასწარ გიხდით მადლობას.

საახალწლო შეხვედრა

ათასფერად მოელვარე ნაძვის ხე, კეთილი სახის თოვლის ბაბუის ნიღაბი, ოთახის სიღრმეში მოქანავე საქანელა იმ მომხიბვლელი სინაზით, სილაღით სავსე გარემოს გვიქმნის, რაც ყოველთვის თანხვედრია ოჯახის, რომელსაც უდიდესი სიყვარულით ადუღაბებენ შვილები.

და ჩვენც სწორედ ამ სიყვარულს, ჭეშმარიტი ოჯახური ჰარმონიის მოწმენი გავხდით პატარა ლელას, გიორგის, ბერდიას მშობლებთან მარინე და მერაბ ახვლედიანებთან სტუმრობისას.

სარკმლის მიღმა დარჩენილი

„ცოტნე მეოთხეს დავარქვათ“

ახლად დამდგარი იანვრის წვიმიანი დღე ჩვენი საახალწლო შეხვედრის მხიარულებაში იკარგება. იმედით ეგებებიან მომავალს, იხსენებენ წარსულს, რომელიც ამ ახალგაზრდა წყვილისათვის ასე დაუვიწყარი და გამორჩეულია.

იმ დღეების გახსენებას არ აკლია იუმორი, ერთმანეთის მისამართით წარმოთქმული, სიყვარულით გამთბარი „დაცინვა“, თუმც მარინე მათ საგაზეთო მასალად ვერ იმეტებს და ყოველი ნაამბობის შემდეგ გულმხურვალედ გვევედრება: „ეგ არ დაწერთო“. ჟურნალისტები კი ასეთ ვედრებებს ნაკლებად ვეგუებით.

—გავიცანი გაზაფხულზე. ამ დროისათვის მარინე ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ბოლო კურსის სტუდენტი იყო—იგონებს მერაბი—ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი მუშაობა ცაგერის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში დაიწყო, და ჩვენც საერთო ნაცნობ-მეგობართა წრეში გვიხდებოდა ყოფნა... ნოემბერში „მაყრიონთან“ ერთად ჩემი დედულეთისაკენ, ტვიშისაკენ გავემგზავრეთ. თვის 13 რიცხვი იყო და „დავინავსეთ“...

—გზა აგვებნა—იცინის მარინე.

—ხო, გზა აგვებნა. „ბედის ირონიამ“ ესეც არ გვაკმარა და ჩვენი მანქანა ტალახში ჩაეფლო, რაღა გვექნა, ხარები მოვიყვანეთ და ავტომანქანაც ხარებით დავძარით... ასე, რომ ჩემი მეუღლე, ძველებურად, მამა-პაპური წესით, მოვიყვანე.

ძველი წესით მოყვანილი პატარძალი ახვლედიანების ოჯახის ტრადიციის—ურთიერთპატივისცემის, თანადგომის ერთგული დარჩა. ახლადშექმნილ ოჯახში პირველი სიხარული პატარა ლელა დაიბადა და ლენა ბებიამაც, დამსახურებულმა აგრონომმა, გამოცდილმა სპეციალისტმა, ყველაფერი გვერდზე გადადო და ბებიობის სანატრელ ბედს სიამოვნებით შეეთვისა.

შემდეგ ვაჟიანობაც იზეიმეს, გიორგის დაბადებამ არა მარტო საზრუნავი, სიხარულიც გაორკეცა.

ბევრმა იფიქრა, გოგო და ბიჭი ჰყავთ, თანამედროვე ოჯახების ჩვეული შემადგენლობაო. მაგრამ...

მერაბი: ჩემი გიორგის ნინს რომ ვიყავი, სიმართლე გითხრათ ძალიან მომწონდა დედისერთობა, შემდეგ რაც წლები გადიოდა, ვგრძნობდი, რომ მაკლდა ის დიდი სიყვარული, ჭირისუფლობა დედმამიშვილებს შორის რომ არის და ყოველთვის მსურდა ბევრი შვილი მყოლოდა.

მარინე: მესამე შვილი რომ შეგვეძინა, რატომღაც სახელის შერჩევა გაგვიჭიანურდა. ბოლოს მერაბმა „ბევრი არჩევანის“ შემდეგ ბერდია შეარჩია. სახელი მეც მოვიწონე. მხოლოდ შემდეგ მომაგონდა ისტორიული ქართული სახელი—ცოტნე. თუმც დაგვიანებით, ჩვენი პატარა უკვე ამ სახელით იყო რეგისტრირებული. უკმაყოფილება რომ შემატყო, მერაბმა ასე მირჩია: „ცოტნე მეოთხეს დავარქვათო“...

მრავალი შვილი—დიდი სიხარული, ბედნიერებაა, მაგრამ მთავარი ისაა, თუ როგორი მომავალი ეყოლება საქართველოს.

მარინე: ყველაზე ბედნიერად მაშინ ვიგრძნობ თავს, თუ ისინი უპირველესად კარგი ადამიანები გაიზრდებიან, რაც შეეხება მათი მომავალი ცხოვრების გზას, ალბათ თვითონ, თავიანთი ინტერესების შესაბამისად შეარჩევენ.

მერაბი: მთავარია ჯანმრთელნი იყვნენ, ურთიერთსიყვარული ჰქონდეთ, შვილები [illegible] მრავალი [illegible] ჩვენს ყრუში [illegible] დეფიციტი ძლიერი ბარიერია, თუნდაც ელემენტარულის, უპირველესის შეძენის დროს საათობით გრძელ რიგებში გვიწევს დგომა სურსათის შესაძენად. არ იშოვება ბავშვებისათვის გამოსადეგი ტანსაცმელი, თუ იშოვება და ჩვენთვის ხელშიუწვდომელ ფასებში. მე პედაგოგი ვარ, ჩემი ხელფასის უმეტესი წილი რომ ტანსაცმელში დავხარჯო, საჭმელის ფული არ დაგვრჩება.

—და მაინც, თქვენს ოჯახში ეს არ იგრძნობა...

მერაბი: არამარტო ჩვენ ახალგაზრდა ოჯახთა უმეტესობას მშობლების დახმარების გარეშე არსებობა გაუჭირდებოდა. აი მაგალითად, ჩვენი ოჯახი გაიზარდა, სახლის მოცულობაც გავზარდეთ, მშენებლობა კი ძვირი ჯდება, და ჩვენც ნელ-ნელა ვაშენებთ, საოჯახო ბიუჯეტის შესაბამისად, მშობლების იმედით.

მარინე: დედებისა და ბავშვების დახმარებები იზრდება, არა ერთი კარგი კანონი გამოვიდა, მაგრამ პარალელურად კატასტროფულად იზრდება ფასებიც. ბაზარზე დაყრდნობა წარმოუდგენელია.

მერაბი: სოფელ ლასხანაში საკარმიდამო მეურნეობა გვაქვს. მაგ მეურნეობის იმედითა ვართ. სწორედ იქ მოწეული ხილით, ბოსტნეულით მარაგდება ოჯახი.

—მარინე, მერაბ, რას ისურვებდით ახალ 1991 წელს?

—უპირველესად მშვიდობას, ჩვენი მშვენიერი საქართველოს თავისუფლებას, შვილების, ყველა ბავშვის ჯანმრთელობას, სასურსათო ტალონების გარეშე ცხოვრებას.

* * *

საახალწლო ნაძვის ხესთან თამაშით გართულ ბერდიას სულ მალე საბავშვო ბაღიდან მოსული ლელა და გიორგიც შეუერთდებიან. ერთბაშად აივსება ბავშვების ჟრიამულით იქაურობა, მერე სახელდახელო კონცერტსაც გამართავენ პატარები, და ბედნიერ მაყურებელს—დედას, მამას ბებიას, ბაბუას—ქართული ლექსით თუ სიმღერით გაახარებენ.

ღმერთმა ამრავლოთ, სიხარული და სიუხვე ნუ მოაკლოთ, ბედნიერ წელს ვუსურვებთ.

ლ. ცხვედიანი.

ჩვენ გვწერენ

მადლობას იმსახურებენ

17 წელზე მეტია თამაზ ალექსანდრეს ძე მურცხვალაძემ მძღოლის საპატიო პროფესია მიიღო და კეთილსინდისიერად ემსახურება მგზავრებს, აქედან მეოთხე წელია ემსახურება მარშრუტს-ცაგერი. აღვი-ქუთაისი, იგი გამოირჩევა მგზავრებისადმი გულისხმიერებით, ზრდილობიანი მოქცევით.

ავტობუსში შემოსულ მგზავრებს, ბენზინის სუნი, ან ხალხმრავლობით გამოწვეული უჰაერობა აწუხებთ, ამას თვითონაც გრძნობს, ავტობუსს შეაჩერებს, ხუთი წუთით შესვენებას გამოაცხადებს, ავტობუსს გაანიავებს, დაგროვილი უსიამოვნო სუნით გაწმენდს და შემდეგ გააგრძელებს გზას. იყო ასეთი შემთხვევა—ავტობუსში ამოვიდა მოხუცი ქალი, ორი კილომეტრის გავლის შემდეგ ძლიერ აწყინა ავტობუსში ყოფნამ, მისდამი დიდი გულისხმიერება გამოიჩინა თამაზმა, მოხერხებულ ადგილზე, ფანჯარასთან დააჯინა, ხშირად აჩერებდა ავტობუსს და მოხუცს ეკითხებოდა როგორ იყო, მგზავრისადმი ასეთი გულისხმიერი მოპყრობისათვის მას ავტობუსში მყოფმა ყველა მგზავრმა მადლობა გადაუხადა. მართლაც მისი მოქცევა მადლობას იმსახურებდა. ასეთი შემთხვევები ხშირია და ხშირია მისდამი სამადლობელიც.

საბედნიეროდ ცაგერი-აღვი-ქუთაისის ტრასაზე მოძრავი ავტობუსების სხვა მძღოლებიც გამოირჩევიან თავმდაბლობით, მგზავრებისადმი კეთილსინდისიერი მოპყრობით. ესენი არიან მურთაზ ჭელიძე და მერაბ დაშნიანი. ეს უკანასკნელი სხვა მარშრუტზე გადაიყვანეს, მაგრამ მისი კეთილშობილური საქციელი დიდხანს ემახსოვრება აღვის, მახაშის, ლასურიაშის მშრომელებს, რომლებიც ხშირად მგზავრობდნენ იმ ავტობუსით, რომელსაც მერაბ დაშნიანი მართავდა.

ვუსურვებ აღნიშნულ მძღოლებს მწვანე შუქი უნათებდეთ გზას, ბედნიერად ემოძრაოთ, უავარიოდ ემგზავროთ, კეთილსინდისიერად ემსახურონ ხალხს.

ვალერიან ჯამგურიძე,
შრომისა და ომის ვეტერანი,
სოფ. მახაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზრის დასაწყისში ქერქი საფირეო ეაღაზიამდე

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ამოცანებიდან გამომდინარე ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით შეიქმნა აღმასკომთან ფირმა „რეგიონალური კავშირები“ რომლის ძირითადი ამოცანაა რესპუბლიკის შიგნით და გარეთ ქალაქის რეგიონებთან, ქალაქებთან, რაიონებთან წარმოება - დაწესებულებებთან, აგრეთვე უცხოეთის ფირმებთან პირდაპირი ეკონომიკური კავშირების დამყარება და მის საფუძველზე იმ მეცნიერულ-ტექნიკური, ეკონომიკური და ფინანსურ შესაძლებლობათა სრული ამოქმედება, გაბედულ ინიციატივათა და ექსპერიმენტების უთუოდ რეალიზაცა, რომელიც აკუმულირებულია საბაზრო ეკონომიკის შინაარსში. ამასთან ახალ ეკონომიკურ ურთიერთობათა მიგნების, მხარეთა ურთიერთსასარგებლო გარიგებების გადაწყვეტის, მათი განმტკიცებისა და გაფართოების გზით ფირმა „რეგიონალური კავშირები“ მიზნად ისახავს დააჩქაროს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და რაც მთავარია დეფიციტის შემცირების გზით შედარებით უმტკივნეულო გახადოს იგი მშრომელთა ფართო მასებისათვის.

ფირმის „რეგიონალური კავშირების“ მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებლებთან პირდაპირი ეკონომიკური კავშირების დამყარება, მათი განმტკიცება და გაფართოება.

რით ვიწყებთ ჩვენ ამ ერთობლივი მუშაობის პირველ ეტაპს?

ყველასათვის ნათელი ჭეშმარიტებაა ის, რომ გლეხი, მწარმოებელი იქ წაიღებს გასაყიდად სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის ჭარბ პროდუქტებს, სადაც ვაჭრობისათვის უკეთესი პირობებია შექმნილი, იმ ბაზარს აირჩევს, რომელიც მისთვის უფრო სასარგებლოა, ამიტომ გადავწყვიტეთ გლეხს, მწარმოებელს შევუქმნათ ისეთი პირობები, რომ მან ქუთაისის ბაზარი აირჩიოს თავისი ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სარეალიზაციოდ. ფირმა სოფლის მეურნეობის მუშაკებს სთავაზობს მომსახურების სრულიად ახალ ფორმას, რომელიც რადიკალურად განსხვავდება საკოლმეურნეო ბაზარში დღეისათვის არსებული მომსახურეობისაგან. ამასთან დაკავშირებით ქალაქში იანვარში ფუნქციონირებას დაიწყებს სავაჭრო ცენტრი.

ცენტრი წარმოადგენს თანამედროვე ტიპის დახურულ შენობას, აქვს ცენტრალური გათბობა და გააჩნია დამხმარე სათავსო, რომელიც საჭიროა მაღალი დონის სავაჭრო მომსახურებისათვის. იქ მოსულ გლეხს, მწარმოებელს შეუძლია ისარგებლოს საცავებით, დაბალი ტემპერატურის საკნებით, გარდერობებით, შიგგადაადგილების სატრანსპორტო საშუალებებით, სტაციონალური სავაჭრო დახლებით, თანამედროვე მოთხოვნების დონეზეა გადაწყვეტილი მოსასვენებელი ოთახი და სანპიგიენური კვანძები. ერთი სიტყვით აქ სრული კომფორტია.

რას თავაზობს გლეხს, მწარმოებელს კონკრეტულად მომსახურების ახალი ფორმა?

უპირველესად ეს არის ის, რომ გლეხი მწარმოებელი თავისუფლდება სავაჭრო დახლისა და სხვა საბაზრო ინვენტარით სარგებლობის ყოველდღიური გაფორმების საზრუნავისაგან. ცალკეულ გლეხებს, გლეხთა ჯგუფებს, სოფლის მეურნეობის კოოპერატივებს, კოლმეურნეობებსა და მეურნეობებს სავაჭრო ცენტრის ადმინისტრაციასთან ურთიერთსასარგებლო პირობებით გაფორმებულ ხელშეკრულებების საფუძველზე გამოეყოფათ და გადაეცემათ გრძელვადიან სარგებლობაში სავაჭრო ცენტრის გარკვეული ფართი ინდივიდუალური საფირმო სექციების და საფირმო მაღაზიების ორგანიზაციისათვის.

ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდისათვის მათ სადღეღამისო განკარგულებაში ექნებათ სავაჭრო დახლები, შესანახი საცავები, დაბალი ტემპერატურის საკნები და სხვა საბაზრო ინვენტარი. გახანგრძლივდება დღის მანძილზე ვაჭრობის დროც.

იმ შემთხვევაში თუ საკოლმეურნეო სავაჭრო ცენტრში შემოზიდული იქნა ჭარბი პროდუქცია და საეჭვო გახდა მისი რეალიზაცია,სავაჭრო ცენტრის ადმინისტრაცია მეპატრონის ნებართვით ახდენს ამ პროდუქციის ორგანიზებულ გადანაწილებას ქალაქის სხვა სარეალიზაციო ობიექტებში, რაც პროდუქციაზე სტაბილური ფასების შენარჩუნებისა და მისი უთუოდ რეალიზაციის გარანტიას იძლევა.

სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების რეალიზაციას აწარმოებენ გლეხები, მწარმოებლები ან მათ მიერ შერჩეული ნდობით აღჭურვილი პიროვნება. გლეხს, მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ლაპარაკი იარსებებს არც ერთი საშუამავლო რგოლი, გამორიცხულია ფასებზე კონტროლიც. ერთადერთი პირობა, რომლის შესრულებაც მწარმოებლებს მოეთხოვება, ეს არის მათ მიერვე შემოთავაზებული ხელშეკრულებით გაფორმებული სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების ნომენკლატურის საგალდებულო განაღდების აუცილებლობა. ეს კი სასარგებლოა თავად გლეხისათვის, მწარმოებლისათვის, რადგან იგი იძლევა მტკიცე საფუძველს გარანტირებული ბაზრით გეგმიური წარმოებისათვის. ამასთან იმ ცალკეულ პირებს ან კოოპერატივთა იმ ამხანაგობებს, რომლებიც სისტემატურად შეასრულებენ სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების რეალიზაციის ნომენკლატურულ ვალდებულებებს და ამით მოიპოვებენ ქალაქის მოსახლეობის ნდობას, ფირმა ქალაქის სხვა ადგილებში გაუხსნის ინდივიდუალურ სავაჭრო ცენტრებს და საფირმო მაღაზიებს.

სიახლეა ტრანსპორტით მომსახურების სფეროშიც. სოფლებს, კოოპერატორთა გაერთიანებებს (ამხანაგობებს) იმავე გრძელვადიანი ხელშეკრულებების საფუძველზე უფლება მიეცემა ნასყიდ დაუკვეთონ სავაჭრო ცენტრის ადმინისტრაციასთან ავტოტრანსპორტი, შეადგინონ საჭირო მარშრუტები და განრიგი პროდუქტების სავაჭრო ცენტრში შემოსატანად უშუალოდ მყიდველებისაგან მიიღონ პროდუქტების ბინაზე მიტანის დაკვეთები და გამოიყენონ აღნიშნული ტრანსპორტი ასეთი დაკვეთების შესასრულებლად.

ცხადია, რომ ტრანსპორტით მომსახურების ახალი ფორმა, ჭარბი პროდუქტების ორგანიზებული გადანაწილება სხვა საკოლმეურნეო ბაზრებზე პროდუქციის რეალიზაციის უზრუნველყოფა, თავისუფალი საბაზრო ფასები, გახანგრძლივებული დროით ვაჭრობა და საბაზრო მომსახურების მაღალი დონე სასიკეთოდ შეცვლის დამოკიდებლობას სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. მთავარი კი ის არის, რომ სოფლის პროდუქტების რეალიზაციის კარგი პირობები სტიმულს გახდება მწარმოებელი გლეხის, მოიჯარის, კოოპერატორის დაინტერესების წარმოების მოცულობის ზრდისათვის, რაც ჯამში სასარგებლოა როგორც მწარმოებლისათვის, ასევე მომხმარებლისათვის.

ფირმა „რეგიონალური კავშირები“

რედაქციისაგან:

მიგვაჩნია, რომ ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ახალი ინიციატივა წინ გადადგმული ნაბიჯია საბაზრო ეკონომიკის გზაზე. გლეხებს, სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებლებს, კოოპერატორთა ამხანაგობებს, მეურნეობებს დამატებითი ცნობებისათვის და შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებისათვის შეუძლიათ მიმართონ ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებულ ფირმას „რეგიონალურ კავშირებს“ მისამართზე:

ქუთაისი, საქალაქო საბჭოს აღმასკომი, პირველი სართული, ოთახი 117 ტ. 5-64-35.

სკოლა

მიზანი, მცდელობა გვაქვს, მაგრამ...

მკითხველი დამეთანხმება, რომ მდინარე ჭონოულის ხეობა ერთ-ერთი ულამაზესია მთელს ლეჩხუმში. წინათ ამ ხეობაში 350 კომლი ცხოვრობდა. 50-იან წლებში კი მცხოვრებთა მეტი წილი ჩასახლებული იქნა აფხაზეთში. ხეობაში მოქმედებდა ერთი სასოფლო საბჭო, ორი კოლმეურნეობა, ფოსტა, ორი კლუბი, ორი პურსაცხობი, ორი მაღაზია.

ამჟამად ხეობაში მხოლოდ 80-ოდე ცოცხალი ჰიშკარია. ცოცხალ ადმინისტრაციულ ნაგებობაზე თუ ვიმსჯელებთ, დარჩა ერთი—ჩქუმის არასრული საშუალო სკოლა.

სკოლაში ორმოცი მოსწავლე სწავლობს. ლეჩხუმის სოფლების გვერდით ეს რიცხვი სასაცილო არ არის, 3-4 წელიწადში მოსწავლეთა რიცხვი 50-ს მიაღწევს. სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის.

სკოლის შენობას ჯერჯერობით ახალი ჰქვია, ის ექსპლოატაციაში 1980 წელს გავიდა, სასკოლო ინვენტარი და ტექნიკური საშუალება საკმაო რაოდენობით გვაქვს. ამ ეტაპზე საკლასო ოთახები ნახევრად კაბინეტურ სისტემაზე მუშაობის საშუალებას გვაძლევს. მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან სახელმძღვანელოებით. სკოლა მომზადებული შეხვდა ზამთარს.

გვაქვს პრობლემები. ორიოდ წლის წინ და უფრო ადრე კადრებით ვაკუმს პარტიაში შემსვლელი ახალგაზრდები ავსებდნენ, ახლა კი სამწუხაროდ პატრიოტი ახალგაზრდებიც კი არ მიდიან სოფლებში და ისიც სკოლებში სამუშაოდ.

სკოლის პედაგოგიური კოლექტივი 14 წევრს ითვლის, აქედან 9 უმაღლესი, ორი საშუალო განათლებითაა, სამი კი უმაღლეს დაუმთავრებელია. 1990-91 სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში მოვიდა სამი ახალგაზრდა უმაღლესი სასწავლებლების პირველი და მეორე კურსის სტუდენტები. ამჟამად ჩვენი პედკოლექტივი ახალგაზრდული კოლექტივია.

სასიხარულოა, რომ აღნიშნული ხეობიდან 1990 წელს სამი ახალგაზრდა გახდა უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტი. სწავლების პირველი და მეორე საფეხური ხომ ბაზაა ცოდნის.

სკოლის კურსდამთავრებულები ძირითადად ბარდნალის, ლასურაშის საშუალო სკოლებსა და ცაგერის №91 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში აგრძელებენ სწავლას.

ფორმალიზმი ჯერ კიდევ შეიმჩნევა მუშაობაში. არ იქნა და არ განმტკიცდა ნიშან სამიანის პრესტიჟი.

სკოლის აქილევსის ქუსლი გახდა უცხო ენის მასწავლებლის პრობლემა. მიუხედავად განათლების განყოფილების და სკოლის დირექციის მრავალგზის მცდელობისა, სპეციალისტი ვერ გამოიძებნა მესამე სასწავლო წელია რის გამოც უცხო ენა არ ისწავლება. ბედის დაცინვაა. ქ. ქუთაისში აღრიცხვაზე აყვანილ 200 უცხო ენის მასწავლებლიდან არცერთი არ აღმოჩნდა რაიონში წამომსვლელი. სოფლები ჩქუმი და ქულბაქი ინტელიგენციის ნაკლებობას განიცდის, თუ ვინმე გაინტელიგანტდა, ჭონოულის დინებას მიჰყვება კოლხეთისაკენ. ეს პრობლემა კი აშკარად მოქმედებს სკოლის სულზე.

სკოლის პედაგოგიური კოლექტივი დღენიადაგ იზრუნებს მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის შესაბამის დონეზე დაყენებისათვის. მიზანი მომავალი თაობის აღზრდაა, რომლის ეროვნული სული ქარიშხალს კი არა, სიოსაც უნდა გრძნობდეს.

მერაბ დავითუღიანი,
ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი.

პირველად — სიდამაზის ორი დედოფალი

მოსკოვი. ამერიკული კონკურსი გათხოვილ ქალთა შორის, რომელიც აშშ-ში თითქმის 20 წელია ტარდება, წელს ჩატარდა მოსკოვში, სადაც ერთდროულად ამოარჩიეს „მისის ამერიკა“ და „მისის სსრკ“.

კონკურსში მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების „მისის“ 50 მფლობელი და 21 სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქების სამი შესარჩევი ტურის გამარჯვებულები.

სურათზე. ტელეშოუს წამყვანი პიტერ მარშალი კონკურსის გამარჯვებულთა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წელი მაინც ახალი წელია

ქორონიკონის კენტი და ლუწი რიცხვების თვალში ერთი წელი გასულა. ახალი წელი გულში დაიმარხავს 1990 წლის ტკივილიან დღეებს, აცრემლებული გოგობიჭების ნაღვლიან სახეებს, მრავალ ჭირსა და განსაცდელს. არ დაივიწყებს წმინდათა-საცხოვრისს, ხატივით ზეაღმართულს, ბრძოლის ჟინმორეული ქართველი ვაჟკაცების თავგანწირვას და სულს გაუტეხელს.

ომახიანი მრავალჟამიერის ფონზე გაიხსნა საახალწლო და წინასაშობაო საღამო ცაგერის სარაიონო კულტურის სახლში.

საღამოს წამყვანმა დარეჯან საღინაძემ ახალი წელი და ქრისტეს შობის დღესასწაული მიულოცა სტუმრებს.

ცაგერის სახალხო თეატრის ახალგაზრდა რეჟისორის ზაზა ყურაშვილის „შავლეგოს“ სტრიქონებმა კიდევ ერთხელ შეაჟრჟოლა მაყურებელი, მღეროდა კულტურის სახლის მამაკაცთა ანსამბლი „შავლეგოს“ უკვდავ მელოდიას და ყვებოდა დარბაზი სიამაყით, ტკივილით, ცრემლით.

საღამოს მეტი სილამაზე შეემატა სახალხო თეატრის ძველი დასის წარმომადგენელთა მოწვევამ, მათ არა ერთი გმირი გააცოცხლეს ჩვენი თეატრის სცენაზე. ბევრი ეპიზოდი გაიხსენეს სევარიონ ბერიძემ, ლუბა ... , ... რის ხეცურიანმა, ოტელო მდივანმა.

სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ რუსუდან ყურაშვილის მიერ ხორცშესხმული ლირიული თუ რაფიელ კოპალიანის მიერ დამუშავებული ლეჩხუმური ხალხური სიმღერები.

სცენაზე ნატო სილაგაძეს შემოჰყავს ორი ბავშვი ჯვრითა და სანთლით და ლოცულობს საქართველოზე, მის ხვალინდელ დღეზე, ერზე.

მომღერლებმა და კონცერტის ყველა მონაწილემ ხმაგაუბზარავი დიდების ჰიმნით დაასრულეს საღამო.

ჭილოსანი

ულოცავთ

ნარგიზა ინდისის ასულ ხეცურიანს ზურაბ კაკოს ძე გენდელიანს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ფუძეძლიერი ოჯახის შექმნას, ულევ სიხარულს, შვილთა სიმრავლეს.

ნესტან, ფოთოლა, მურთაზ ბენდელიანები.

თამრიკო მურადის ასულ სანაძეს ზაზა იაგოს ძე ყურაშვილს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ულევ სიხარულს, შვილთა სიმრავლეს. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ზურაბ თუთისანი, კარლო თოთაძე, დოდო დოლაბერიძე, რეზო სივსივა, ლია ჭაბუკიანი, დემურ კოპალიანი, ნორა საღინაძე, რობერტ გოდოლაძე, ვენერა ჩარკვიანი.

ჭილოსანი

ნუცა ხარლამპის ასულ გუგავა-ჩხეტიანს

გილოცავთ დაბადებიდან 75 წლის შესრულებას. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ხანგრძლივ სიცოცხლეს. ტკბილ, ბედნიერ სიბერეს.

ლია, კუჭიკო, ქეთინო, თამრიკო, ნატო მახარობლიძეები.

ჟორა ვიტალის ძე ახვლედიანს

გილოცავთ დაბადების დღეს, 60 წლის შესრულებას. გისურვებთ ჯანმრთელობასა, და დიდხანს სიცოცხლეს.

ლასურიაშის სასოფლო საბჭოს, სამედიცინო ამბულატორიის, კულტურის სახლის, ბიბლიოთეკის, კავშირგაბმულობის განყოფილების, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო ობიექტების თანამშრომლები.

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

მეუღლე ანეტა, შვილები ლია, მათიკო, ანზორი, და ნინა, სიძე გერონტი ლეთოდიანი, რძლები ნათელა ლომთაძე, მარო მეშველიანი, შვილიშვილები მაია, იმედა გუგავები, რომეო მანდარია, ცოლისდები ნადია, მარო, სონა მეშველიანები, ძმისშვილები, დისშვილები, ცოლისდისშვილები, ცოლისძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სამსონ სიმონის ძე გუგავა

დაკრძალვა 12 იანვარს, შაბათს, ქ. ცაგერში.

უახლოესი მეზობლები: დემურ, ჯუმბერ გოგიძეები, გივი, იმედა მეშკუდიანები, გიზო მდივანი, ბორის ბერიძე, ოთარ თუთისანი, აბესალომ ლიპარტელიანი, სკენდერ ონიანი, რომან ბაქრაძე, ჟორა შკუბულიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ციალა ყურაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ლასურიაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ოთარ ყურაშვილს მეუღლის

ციალა ყურაშვილის

გარდაცვალების გამო.

ავთო ბენიძე ოჯახით თანაუგრძნობს თამაზ, ბათო, დალი, თინიკო ყურაშვილებს დედის

ციალა ყურაშვილის

გარდაცვალების გამო.

მურთაზ ჩაკვეტაძე, ნოდარ ცვარიანი, რამაზ ახვლედიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ლია გუგავას მამის

სამსონ გუგავას

გარდაცვალების გამო.

ცაგერის №23 საგზაო სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ანზორ გუგავას მამის

სამსონ გუგავას

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის XI-ა კლასის მოსწავლეები თანაუგრძნობენ მაია ხმელიძეს ბიძის

რეზო ტვილიდიანის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ოთარი, შვილები დალი, თინათინი, ბათო, თამაზი, შვილიშვილები მარიკა, კოკა, თათია, ლაშა, ნინო, რძალი ნანა მიქიაშვილი, სიძე დათო ხაჟალია, მულები ვერა, ტატიანა, თინა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, მულისშვილები ოჯახებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

ციალა პარმენის ასული

კურცხალია-ყურაშვილი

დაკრძალვა 12 იანვარს, შაბათს, ქ. ცაგერში 4 საათზე.

ლასურიაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ნანი ქომეთიანს ძმის

შმაგი ქომეთიანის

გარდაცვალების გამო.

სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის ცაგერის რაიკომი იუწყება, რომ გარდაიცვალა რაიკომის ყოფილი წევრი და აქტივისტი

ციალა პარმენის ასული

კურცხალია-ყურაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი ამხანაგები თინა გოლოძე, რუსიკო ბენდელიანი, ნორა ჩაკვეტაძე, ლენა გურული, ლენა პეტროსოვი, ვენერა დაშნიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ციალა ყურაშვილი.

გერონტი ლეთოდიანი, დადაში ბენიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სამსონ გუგავა.

ვიტალი, ზაურ ლაზარიანები, მურთაზ, ბადრი ახვლედიანები, შაქრო ცხოვრებაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სამსონ სიმონის ძე გუგავა

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სარაიონო კულტურის სახლისა და მისი ცენტრალური ბუღალტერიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მაგულ და დარეჯან საღინაძეებს დედისა და ბებიის

ნინა ჯიმშელეიშვილის

გარდაცვალების გამო.

სიდედრი ვენერა, სიმამრი ნოდარი, ბებია აგრაფინე, ბაბუა პლატონი, ცოლისდები მანანა, მაია, ცოლისძმები მამია, მამუკა, პაატა თვარაძეები, ქვისლები ლევან ახვლედიანი, მალხაზ კოპალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შმაგი გრიგოლის ძე ქომეთიანი.

მურთაზ ჩაკვეტაძე ოჯახით თანაუგრძნობს ოთარ ყურაშვილის ოჯახს

ციალა ყურაშვილის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის №23 საგზაო სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბათო ყურაშვილს დედის

ციალა ყურაშვილის

გარდაცვალების გამო.

სევარიონ, ლუბა მეშკუდიანები, ჯანუბ ხვადაგიანი, რომან კალანდაძე, ოთარ ქლიბაძე, გივი გიორგობიანი, მიშა ქარსელაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ თინა და ტატიანა ყურაშვილებს რძლის

ციალა ყურაშვილის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე მარო, შვილები გივი, ლეილა, მზია, ანა, რძლები ბაბი ყურაშვილი, ნანული გოგიძე, ლუბა ბახსოლიანი, სიძეები საულ ხუციძე, ნოდარ ჩაჩხიანი, გივი ივანეიშვილი, რუბენ ნემსწვერიძე, ნოდარ ბურჯალიანი, იური კოპალიანი, ძმისშვილები ლამარა, ვენერა, შვილიშვილები მარიკა, ნინო, ეკა, ვალერი, თამრიკო, ქეთინო, გოჩა, მირანდა, გურანდა, ნანა, ცოლისძმა იულო, ცოლისდები ვერა, ცაცა ახვლედიანები, ქვისლი გრიშა ყურაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალფეზ ილარიონის ძე

ლაკვეხელიანი

დაკრძალვა შაბათს, 12 იანვარს, სოფელ ლაჯანაში.

ბახვა ჭილვარია, კარლო ჩაკვეტაძე, აკაკი პირველი, ავთანდილ ბენიძე, რამაზ საღინაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ციალა ყურაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები ჟორა, მიშა, დოდო, ედგარი, რძლები მერი, ლუიზა, თამილა, სიძე გრიშა გვიშიანი, შვილიშვილები, შვილთაშვილები იუწყებიან რომ გარდაიცვალა

კატუშა (კუკუშკა) ხოსიას ასული ჯაფარიძე-თვარაძე.

დაკრძალვა 12 იანვარს, შაბათს, სოფ. ლაილაშში.

მეუღლე მადონა, შვილი ნათია, მამა გრიშა, და ნანი, ძმები დათო, როინი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შმაგი გრიშას ძე ქომეთიანი

დაკრძალვა შაბათს, 12 იანვარს, სოფელ სანორჩში.

ბუჭე, ბიძინა, ვაჟა, დინა გუგავები იუწყებიან ბიძის

სამსონ გუგავას

გარდაცვალებას.

სოფელ სანორჩის ახალგაზრდობა თანაუგრძნობს გრიშა ქომეთიანის ოჯახს

შმაგი გრიშას ძე ქომეთიანის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის——22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41, საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №1 ტირაჟი 4513

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.